

შპს „ნიუ ბრენდ“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ნიუ ბრენდ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	12/31/2023 ლარი	12/31/2022 ლარი	12/31/2021 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	109,902	147,177	118,981
სულ გრძელვადიანი აქტივები		109,902	147,177	118,981
შუა პროდუქცია		710914	2232035	104844
დაუმთავრებელი მშენებლობა		2672021	1038830	4701472
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,382,935	3,270,865	4,806,316
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		178658	307182	413254
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	117500	75569	210502
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		178976	878516	5913
სხვა მიმდინარე აქტივები	5	78730	208308	278798
სულ მოკლევადიანი აქტივები		553,864	1,469,575	908,467
სულ აქტივები		4,046,701	4,887,617	5,833,764
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		6000	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	28486	132984
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	1,088,154	1,869,401	2,352,598
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,094,154	1,897,887	2,485,582
სულ ვალდებულებები		1,094,154	1,897,887	2,485,582
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		628020	857690	2120839
გაუნაწილებელი მოგება		2324527	2132040	1227343
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		2,952,547	2,989,730	3,348,182
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,046,701	4,887,617	5,833,764

შპს „ნიუ ბრენდ“-ის

დირექტორი ლევან აგლაძე




შპს „ნიუ ბრენდ“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	7	2091036	4828093
ამონაგების თვითღირებულება		-1803005	-3799246
საერთო მოგება		288,031	1,028,847
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(62,456)	(61,787)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	8	-2762	-2456
ფინანსური ხარჯი / შემოსავალი	9	1,274	3,061
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	-31600	-62968
მოგება დაბეგვრამდე		192,487	904,697
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		192,487	904,697

შპს „ნიუ ბრენდ“-ის




დირექტორი ლევან აგლაძე

შპს „ნიუ ბრენდ“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023
 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	2,120,839	-	1,227,343	3,348,182
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(1,263,149)	-	-	(1,263,149)
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	904,697	904,697
ნაშთი - 31.12.2022	857,690	-	2,132,040	2,989,730
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(229,670)	-	-	(229,670)
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	192,487	192,487
ნაშთი - 31.12.2023	628,020	-	2,324,527	2,952,547

შპს „ნიუ ბრენდ“-ის



დირექტორი ლევან აგლაძე

შპს „ნიუ ბრენდ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიუ ბრენდ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03.05.2016). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი გლდან-ნაძალადევის რაიონი, ნ.ხუდადოვის ქ. # 83

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2023	2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურეობის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ,

ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების

დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	არამატერიალური აქტივი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
პერიოდი 01/01/2021	2,227		57,554	
შემოსვლა		1,654	79,970	
ცვეთა	(117)		(22,307)	
ჩამოწერა			-	
პერიოდი 31/12/2021	2,110	1,654	115,217	-
პერიოდი 01/01/2022	2,110	1,654	115,217	-
შემოსვლა			53,758	
ცვეთა	(234)	(165)	(25,163)	
ჩამოწერა			-	-
პერიოდი 31/12/2022	1,876	1,489	143,812	-
პერიოდი 01/01/2023	1,876	1,489	143,812	-
შემოსვლა		1,313	44,841	
ცვეთა	(352)	(166)	(31,141)	
ჩამოწერა			(51,770)	
პერიოდი 31/12/2023	1,524	2,636	105,742	-

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	117,500	75,569	210,502
სულ	117,500	75,569	210,502

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022	2021
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	35,726	4,684	411,681
საგადასახადო აქტივი	78730	208308	278,798
მოკლევადიანი გაცემული სესხები	141,359	300,925	-
მისაღები პროცენტები	1,573	1,573	1,573
სულ	257,388	515,490	692,052

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6,000		
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	495043	344125	411115
სავაჭრო ვალდებულებები	554,764	1,497,365	1,869,801
გადასახდელი ხელფასები			
მიღებული ავანსები			
გადასახდელი პროცენტი	8,426	8,426	8,426
სხვა ვალდებულებები	29,921	19,485	12,388
საგადასახადო ვალდებულებები	-	28,486	183,852
სულ	1,094,154	1,897,887	2,485,582

7. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	2,091,036	4,828,093
ამონაგების თვითღირებულება	(1,803,005)	(3,799,246)
სულ	288,031	1,028,847

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	(54,000)	(57,000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(2,762)	(2,456)
იჯარის ხარჯი	-	-
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	-	-
საგადასახადო ხარჯი	(1,796)	(2,160)
საბანკო ხარჯი	(1,303)	(627)
სამეურნეო ხარჯი	-	-
რემონტის ხარჯი	-	-
საკანცელარიო ხარჯი	-	-
ტრანსპორტირების ხარჯი	-	-
რეკლამის ხარჯი	(21)	-
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	-	-
საკონსულტაციო ხარჯი	(5,186)	-
სხვა ხარჯი	(150)	(2,000)
სულ	(65,218)	(64,243)

9. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	1,274	3,061
საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ	1,274	3,061

10. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2023	2022
საკურსო სხვაობა	(31,600)	(62,968)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
სულ	(31,600)	(62,968)

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 22 სექტემბერს.

შპს „ნიუ ბრენდ“-ის

დირექტორი ლევან აგლაძე

